ევროკავშირი
საქართველოსთვის
საპარლამენტო დემოკრატიის ხელშეწყობა

საქართველოს
პარლამენტი

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ წევრი სახელმწიფოების მიერ საპარლამენტო ღიაობის ხელშეწყობის მიზნით აღებული ვალდებულებებისა და პრაქტიკის საუკეთესო მაგალითების მიმოხილვა

15 თებერვალი 2017 წელი

წინამდებარე კვლევა მომზადებულია პროექტის „საპარლამენტო დემოკრატიის სისტემის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) (ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის „საპარლამენტო დემოკრატიის სისტემის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში) ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის და კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI).

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION
IDFI
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

Open Government Partnership

სარჩევი

წინასიტყვაობა 3

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ წევრი სახელმწიფოების მიერ საპარლამენტო ღიაობის ხელშეწყობის მიზნით აღებული ვალდებულებები.....6

უკრაინა.....6

საფრანგეთი.....10

კოლუმბია.....13

გაერთიანებული სამეფო.....15

ფინეთი.....16

ესტონეთი.....17

ბრაზილია.....20

ჩილე.....23

კანადა.....24

ახალი ზელანდია.....27

დასკვნა.....29

წინასიტყვაობა

„ღია მმართველობის პარტნიორობა“ (OGP – Open Government Partnership) ამერიკის შეერთებული შტატების და ბრაზილიის პრეზიდენტების ერთობლივი ინიციატივის შედეგად 2011 წლის 20 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის შეხვედრის ფარგლებში დაფუძნდა. დღეის მდგომარეობით, პარტნიორობაში 75 ქვეყანაა გაერთიანებული.

პარტნიორობა წარმოადგენს მრავალმხრივ, საერთაშორისო ინიციატივას და მიზნად ისახავს ხელისუფლების გამჭვირვალობის, მისი ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის, კორუფციასთან ბრძოლის, აგრეთვე, მმართველობის გაძლიერებისთვის ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობას.

საქართველო პარტნიორობას 2011 წლის სექტემბერში შეუერთდა და მალევე შეუდგა სამოქმედო გეგმის შემუშავებას. სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნებიდან გამომდინარე, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში, შეიქმნა ეროვნული საკოორდინაციო მექანიზმი „ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი“, რომელიც საჯარო დაწესებულებების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძო სექტორისა და აკადემიური წრის წარმომადგენლებისგან არის დაკომპლექტებული. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში საქართველოს მთავრობამ სამი სამოქმედო გეგმა დაამტკიცა:

- 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმა;
- 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა;
- 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა;

სამოქმედო გეგმებში გაერთიანებული იყო, როგორც აღმასრულებელი, ისე სასამართლო ხელისუფლების (უზენაესი სასამართლო) მიერ ნაკისრი ვალდებულებები, რომლებიც OGP-ის ფუძემდებლური პრინციპებიდან - ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობა, სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა, მმართველობითი პროცესის ღიაობის და ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით ახალი ტექნოლოგიების დანერგვა - გამომდინარეობდა.

თუმცა, დროის გასვლასთან ერთად, OGP-ის ინიციატივის განხორციელებაში საკანონმდებლო ხელისუფლების აქტიურად ჩართვის აუცილებლობაც გამოიკვეთა. საკანონმდებლო ხელისუფლება ქმნის იმ სამართლებრივ ჩარჩოს, რომლის ფარგლებშიც აღმასრულებელი ხელისუფლება თავის უფლებამოსილებას ახორციელებს. პარლამენტს მმართველობით პროცესზე ზემოქმედების უდიდესი რესურსი გააჩნია, ხოლო მოქალაქეების მიერ ამ რესურსის მაქსიმალურად გამოყენება საკანონმდებლო პროცესის ღიაობის და დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრების უმნიშვნელოვანეს წინაპირობად გვევლინება.

საქართველოს პარლამენტის OGP-ში მონაწილეობის ხელშეწყობას 2015 წლიდან აქტიურად უწყობს ხელს ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტი „საპარლამენტო დემოკრატიის სისტემის გაძლიერება საქართველოში". საკანონმდებლო ხელისუფლების ღიაობის და საკანონმდებლო პროცესებში მოქალაქეების მაქსიმალურად ჩართვის მიზნით, OGP-ის ფარგლებში შეიქმნა „საკანონმდებლო ხელისუფლების ღიაობის ჯგუფი" (Legislative Openness Working Group, LOWG). ამ ჯგუფის ძირითადი მიზნებია:

- საკანონმდებლო ღიაობიდან გამომდინარე ვალდებულებების შემუშავების მიზნით სამოქალაქო საზოგადოების და საკანონმდებლო ხელისუფლების მხარდაჭერა;
- ფორუმის შემუშავება, სადაც OGP-ის წევრი სახელმწიფოები გაუზიარებენ ერთმანეთს საკანონმდებლო ღიაობასთან დაკავშირებულ გამოცდილებას, მექანიზმებს და საუკეთესო პრაქტიკებს;
- OGP-ში საკანონმდებლო ხელისუფლების ჩართვა და OGP-ის პრინციპებთან მიმართებით საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება;
- საკანონმდებლო ღიაობის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება;
- საკანონმდებლო ღიაობის მიზნებიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ხელისუფლების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების თანამშრომლობის გაზრდა.

2015 წლის თებერვალში, საკანონმდებლო ხელისუფლებაში ღია მმართველობის პრინციპების დასანერგად, შეიქმნა საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფი, ხოლო 2015 წლის 30 აპრილს საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს ღია პარლამენტის სამუშაო ჯგუფის წევრ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის საპარლამენტო ღიაობის მემორანდუმი გაფორმდა, რის შედეგადაც საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანა გახდა, რომელმაც პარლამენტში ღია მმართველობის პრინციპების პრაქტიკული დანერგვა დაიწყო. ამ ინიციატივის ფარგლებში საქართველოს პარლამენტმა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან მჭიდრო

თანამშრომლობის ფორმატში, საქართველოს ღია პარლამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა დაამტკიცა. 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა 18 ვალდებულებას მოიცავდა, მათ შორის: კანონპროექტებზე კომენტარის (ელექტრონულად და/ან წერილობით) დატოვების შესაძლებლობა, საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენის და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით, მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა საკანონმდებლო პროცესში, ფიზიკური დასწრების უზრუნველყოფა, დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის დასაბუთების ვალდებულების განსაზღვრა, შშმ პირებისთვის საპარლამენტო დოკუმენტაციაზე წვდომის გამარტივება და სხვა.

2017 წლის იანვარში, ღია და გამჭვირვალე მმართველობის საპარლამენტო საბჭოს გასვლით შეხვედრაზე შეკრებილმა პარლამენტის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა იმსჯელეს საპარლამენტო ღიაობის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ იმ ვალდებულებებზე, რომელთა შესრულება სხვადასხვა მიზეზებიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა და შეთანხმდნენ, რომ შეუსრულებელი ვალდებულებების ნაწილის განხორციელება 2017-2018 წლების საპარლამენტო ღიაობის სამოქმედო გეგმით უნდა განისაზღვროს. ამასთან, 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმაში შეტანილ უნდა იქნეს ახალი ვალდებულებებიც.

საქართველოს ღია პარლამენტის ახალი სამოქმედო გეგმის ფარგლებში ახალი ვალდებულებების შემუშავების მხარდასაჭერად, წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი და განხილულია OGP-ის წევრ სახელმწიფოებში საპარლამენტო ღიაობის მიმართულებით დანერგილი პროექტები და ინიციატივები.

დოკუმენტის შემუშავებისას გამოყენებულ იქნა შემდეგი წყაროები:

- საპარლამენტო ღიაობასთან დაკავშირებული ვალდებულებების მონაცემთა ბაზა (2016 წლის მარტის მდგომარეობით);
- ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში 2013-2015 და 2014-2016 წლებში შემუშავებული ეროვნული სამოქმედო გეგმების მონაცემთა ბაზა;
- ღია მმართველობის პარტნიორობის ვებგვერდზე განთავსებული სამოქმედო გეგმები;
- გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UDNP) მიერ შედგენილი პარლამენტების მიერ საპარლამენტო ღიაობის ინოვაციური პრაქტიკების შემუშავების გზამკვლევი (Handbook on Supporting Parliaments in Developing Innovative Open Parliament Practices).
- საპარლამენტო ღიაობა ინტერნეტის საუკუნეში;
- „ღია მმართველობის პარტნიორობის“ მიერ შემუშავებული კვლევა;

„ღია მმართველობის პარტნიორობის“ წევრი სახელმწიფოების მიერ საპარლამენტო ღიაობის ხელშეწყობის მიზნით აღებული ვალდებულებები

უკრაინა

საპარლამენტო ღიაობის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა [1]

უკრაინის საპარლამენტო ღიაობის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა უკრაინის სამოქალაქო საზოგადოებისა და უკრაინის რადას ერთობლივი ძალისხმევის შედეგად შემუშავებულ დოკუმენტს წარმოადგენს. დოკუმენტი 2016 წლის 5 თებერვალს დამტკიცდა და 20 ძირითად ვალდებულებას მოიცავს, რომლებიც „ღია მმართველობის პარტნიორობის“ (OGP) ფუძემდებლურ პრინციპებს ეხმაურება. უკრაინის საპარლამენტო ღიაობის გეგმაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დოკუმენტის შემუშავების დროს, როგორც საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი, გამოყენებულ იქნა საქართველოს საპარლამენტო ღიაობის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებები[2].

მაგალითად: ***მოქალაქეების ჩართულობა საპარლამენტო საქმიანობაში - კანონპროექტების ონლაინ რეჟიმში განხილვა***, საქართველოს საპარლამენტო ღიაობის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვალდებულებასაც წარმოადგენდა.[3]

დღეის მდგომარეობით, საქართველოს მოქალაქეების მსგავსად, უკრაინის მოქალაქეებსაც აქვთ შესაძლებლობა, დატოვონ კომენტარი პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებულ კანონპროექტებზე. თუმცა, უკრაინული პლატფორმის საბოლოო მიზანს მოქალაქეების მიერ დატოვებული კომენტარებისთვის თვალყურის დევნების (track comments) ფუნქციის დამატება წარმოადგენს. ამ ფუნქციის საშუალებით, კომენტარის დამტოვებელს შესაძლებლობა მიეცემა, გაიგოს, მოხდა თუ არა მისი კომენტარის გათვალისწინება.

ამასთან, თითოეულ კანონპროექტს „კანონპროექტის საჯარო განხილვის შედეგის“ ფუნქცია/ველი უნდა დაემატოს. აღნიშნულ ველში იქნება განთავსებული ინფორმაცია

---

[1] უკრაინის საპარლამენტო ღიაობის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა: https://drive.google.com/file/d/0ByP1nXAlz_meTmNtaWgwVTNCZDA/view

[2] საქართველოს საპარლამენტო ღიაობის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა: http://www.parliament.ge/uploads/other/37/37385.pdf

[3] საქართველოს საპარლამენტო ღიაობის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის ვალდებულება 1.1.

იმის თაობაზე, მოხდა თუ არა მოქალაქის მიერ დატოვებული კომენტარის გათვალისწინება/განხილვა.

კომენტარისთვის „თვალყურის დევნებისა“ და „კანონპროექტის საჯარო განხილვის შედეგის“ ფუნქციების დანერგვა საინტერესო ინოვაციებია და საქართველოს საპარლამენტო ღიაობის ახალი სამოქმედო გეგმით ანალოგიური ვალდებულებების განსაზღვრა, მოქალაქეების ჩართულობისა და საპარლამენტო საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის კუთხით, ჩვენი ქვეყნისთვის წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა.

საქართველოსა და უკრაინის საპარლამენტო ღიაობის სამოქმედო გეგმებს შორის არსებულ მსგავსებებზე საუბრისას საყურადღებოა, რომ უკრაინის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა, საქართველოს 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის ანალოგიურად,[4] ელექტრონული პეტიციების დანერგვის ვალდებულებასაც ითვალისწინებს.[5] თუმცა, საქართველოს პარლამენტისგან განსხვავებით, უკრაინის უმაღლესმა რადამ უკვე შეასრულა ეს ვალდებულება და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, უმაღლესი რადას ვებგვერდის გამოყენებით, ელექტრონული პეტიციების წარდგენის შესაძლებლობა მიეცა[6].

ელექტრონული პეტიციების პორტალზე მოცემულია:

- ელექტრონული პეტიციები, რომლებზეც ხელმოწერების შეგროვება მიმდინარეობს.



[4] საქართველოს საპარლამენტო ღიაობის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის ვალდებულება 1.2
[5] უკრაინის საპარლამენტო ღიაობის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის ვალდებულება 4.2.
[6] უმაღლესი რადას ელექტრონული პეტიციების პორტალი: https://itd.rada.gov.ua/services/Petitions/

- საპარლამენტო განხილვაზე გამოტანილი ელექტრონული პეტიციები.



- ელექტრონული პეტიციების ჩამონათვალი, რომლებზეც პარლამენტმა მოამზადა პასუხი.



- ელექტრონული პეტიციები, რომლებზეც ხელმოწერების შეგროვება შეწყდა:



- ელექტრონული პეტიციის შექმნის ფუნქცია:



უკრაინის უმაღლესი რადას ელექტრონული პეტიციების პორტალი არის მარტივად აღქმადი, ამომწურავ პლატფორმა მომხმარებლისთვის შემოთავაზებული ფუნქციების მხრივ. სასურველი იქნებოდა, საქართველოს პარლამენტის ელექტრონული პეტიციების პორტალის შემუშავებისას მისი, როგორც მაგალითის, გამოყენება.

სამოქალაქო ჩართულობა/მონაწილეობა საპარლამენტო და საკომიტეტო სხდომებში და კომიტეტების საჯარო შეხვედრებში

ვალდებულების განმარტებით ნაწილში აღნიშნულია, რომ პარლამენტის ვებგვერდზე მოცემულია ინფორმაცია კომიტეტების სხდომებთან დაკავშირებით (თარიღი, დრო და ადგილი), თუმცა არ არსებობს მოქალაქეების მიერ კომიტეტის სხდომაზე დასწრების მექანიზმები. შესაბამისად, ეს ვალდებულება გულისხმობს იმას, რომ კომიტეტის თითოეული სხდომისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს დაინტერესებული მოქალაქეების **ონლაინ რეჟიმში რეგისტრაციის ფუნქცია.**

ელექტრონული რეგისტრაციის მექანიზმში კალენდარულად იქნება მოცემული კომიტეტების ყველა დაგეგმილი სხდომა, მათი ჩატარების დრო და ადგილი. ამასთან, მოცემული იქნება მოქალაქის მიერ სხდომაზე დასწრებისთვის აუცილებელი სარეგისტრაციო ფორმა. ონლაინ რეჟიმში რეგისტრაციის გავლა შესაძლებელი უნდა იყოს კომიტეტის სხდომის ჩატარებამდე არაუგვიანეს 3 დღისა. ამასთან, რეგისტრაციის გავლის შემდეგ, მოქალაქემ უნდა დაადასტუროს მის მიერ კომიტეტის სხდომაზე დასწრება.

ვალდებულება ასევე ითვალისწინებს კომიტეტის სხდომაზე დასწრების მსურველებისთვის სპეციალური საშვების შექმნის და მათი გაცემის წესის განსაზღვრას.

საფრანგეთი

ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში საფრანგეთის ნაციონალური ასამბლეის მიერ შემუშავებული 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა [7] და საპარლამენტო ღიაობის კუთხით მიღწეული ზოგადი შედეგები

საფრანგეთის ნაციონალური ასამბლეის მიერ შემუშავებულ 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმაში მოცემულია ასამბლეის მიერ მიღწეული პროგრესის ამსახველი ზოგადი ინფორმაცია და სამომავლო პრიორიტეტები.

მიღწეული შედეგებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა "The Eliasse Application".[8] ამ აპლიკაციის მეშვეობით, ნებისმიერ დაინტრესებულ პირს, კომპიუტერის ან სმარტფონის გამოყენების გზით, შეუძლია გაეცნოს კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებს. აპლიკაცია გვთავაზობს კანონის თავდაპირველ სახეს, მასში განხორციელებულ ცვლილებებს და ინიციატორის ვინაობას. ამასთან, თითოეულ ცვლილებაზე მოცემულია ამ ცვლილების განმარტება და მისი მიზანი.

Eliasse-ის აპლიკაციაზე გადასვლა საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის ვებგვერდიდან, კანონმდებლობის ძიების განყოფილებიდან არის შესაძლებელი. აპლიკაცია თავისი დანიშნულებით საქართველოს „საკანონმდებლო მაცნის" მსგავსია, თუმცა მისგან განსხვავებით, ის უშუალოდ პარლამენტის ვებგვერდზეა დანერგილი, მასზე განთავსებული ინფორმაციის ნახვა სრულიად უფასოა, ამასთან, ის მოიცავს კანონპროექტის თავდაპირველ ტექსტს, მის ინიციატორებს და მასში შესულ ცვლილებებს, რომლებიც ვიზუალურად ადვილადაა აღსაქმელი:

[7] საფრანგეთის ნაციონალური ასამბლეის მიერ შემუშავებული 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა: https://drive.google.com/file/d/0ByP1nXAlz_meUE9yTktIVHlGbHM/view
[8] http://eliasse.assemblee-nationale.fr/eliasse



მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა, გაეცნოს კანონის განმარტებას. „ძიების“ განყოფილებაზე კურსორის მიტანის შემდეგ, ის ცვლილებასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე გადადის, რომელიც ამომწურავადაა მოცემული (მუხლი, რომელსაც შეეხო ცვლილება, ცვლილების შინაარსი და სხვა). საყურადღებოა, რომ Eliasse-ის აპლიკაცია მოიცავს არა მარტო კანონპროექტის სხდომაზე განხილულ ვერსიას, არამედ კომიტეტისთვის წარდგენილ და შემდგომ უარყოფილ ვერსიებსაც.

საფრანგეთის მიერ საპარლამენტო ღიაობის კუთხით მიღწეულ ზოგად შედეგებზე საუბრისას, ასევე ყურადღებას იმსახურებს შემდეგი ონლაინ პორტალები:

„Parlement & Citoyens“[9] ვიდეო პორტალი:

[9] https://www.parlement-et-citoyens.fr/

პლატფორმის მეშვეობით, საფრანგეთის მოქალაქეები პარლამენტის წევრებს წარუდგენენ კანონმდებლობასთან დაკავშირებულ ანალიზს და იდეებს, რაც, გარკვეულწილად, საკანონმდებლო წინადადების ალტერნატივას წარმოადგენს.

ამასთან, Parlement & Citoyens-ის პლატფორმაზე პარლამენტის წევრები ათავსებენ მოკლე ვიდეო და ტექსტურ მიმართვებს, სადაც კანონმდებლობაში მათ მიერ შემჩნეულ ხარვეზებზე და მათი გადაჭრის მეთოდებზე საუბრობენ. პარლამენტის წევრის მიერ განთავსებული ვიდეო და ტექსტურ მიმართვებზე საპასუხოდ, ონლაინ პლატფორმაზე დარეგისტრირებულ პირს შესაძლებლობა აქვს ატვირთოს პასუხი, რომელშიც ის პრობლემის გადაჭრის საკუთარ გზას სთავაზობს პარლამენტის წევრებს. შემდეგ ხდება ატვირთული მასალის შესწავლა და მის საფუძველზე კანონპროექტის მომზადება.

ACCROPOLIS-ის აპლიკაცია:[10]

Accropolis არის ვიდეო პლატფორმა, რომელზეც პირდაპირ ეთერში გადაიცემა პლენარული სხდომები. მისი მეშვეობით, დარეგისტრირებულ მოქალაქეებს პირდაპირ ეთერში გადაცემულ სხდომებზე „Live Chat“-ის ფუნქციის გამოყენებით კომენტარების დატოვება შეუძლიათ.

[10] http://Accropolis.fr



Accropolis-ის პლატფორმა ასევე მოიცავს სხდომების შემაჯამებელ ანგარიშებს და ვიდეოებს, რომლებშიც მოქალაქეებს იურიდიული ტერმინები განემარტებათ. მოქალაქეებისთვის იურიდიული ტერმინების განმარტებითი ვიდეოების განთავსება პლატფორმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რადგან, ხშირ შემთხვევაში, სამართლებრივი ტერმინების არცოდნა საგრძნობლად აბრკოლებს მოქალაქეების მიერ კანონშემოქმედებით პროცესებში სრულყოფილად ჩართვას.

კოლუმბია

2015 წლის 19 ნოემბერს, კოლუმბიის კონგრესი შეუერთდა საპარლამენტო ღიაობის დეკლარაციასდა ამ დოკუმენტით შემდეგი ვალდებულებებია აიღო:[11]

პარლამენტის ვებგვერდზე მოქალაქეების მიერ ადვილად აღქმადი გზამკვლევის შემუშავება და განთავსება

გზამკვლევში მოცემული იქნება მასალა (მათ შორის ვიზუალური მასალა) და ინფორმაცია:

- ✓ კონგრესის წევრების უფლებამოსილებებზე/ფუნქციებზე;
- ✓ კანონშემოქმედებით პროცესში საზოგადოების ჩართულობის მექანიზმებზე;

[11] კოლუმბიის კონგრესის საპარლამენტო ღიაობის დეკლარაცია: https://s3.amazonaws.com/OpeningParliament/NAP+-+Colombian+Parliament+-+2015.pdf

- ✓ სასარგებლო ბმულები.

ე.წ. „შეტყობინების მომსახურების“ (Un Servicio de Alertas) დანერგვა

ამ სერვისის საშუალებით, სისტემაში დარეგისტრირებული მოქალაქე ელ-ფოსტით მიიღებს შეტყობინებას კენჭისყრის შედეგების თაობაზე. ამასთან, „შეტყობინების მომსახურება“ ითვალისწინებს მექანიზმს, რომლის მონიშვნის შედეგად, მოქალაქე ინფორმაციას მიიღებს მისთვის საინტერესო სფეროსთან და თემატიკასთან დაკავშირებულ კანონპროექტებსა და კანონებზე.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება

კონგრესის წევრების მიერ საერთაშორისო ვიზიტების დროს ბიუჯეტიდან ფრენებზე დახარჯული თანხების (მოიცავს: სასტუმროს ხარჯებს, ასევე ბილეთზე გაწეულ ხარჯებს) შესახებ ინფორმაციის ყოველთვიური გამოქვეყნება.

2016 წლის 30 ნოემბერს ასევე დამტკიცდა კოლუმბიის რესპუბლიკის საპარლამენტო ღიაობის სამოქმედო გეგმა,[12] რომელიც 2016-2017 წლებში განსახორციელებელ ვალდებულებებს მოიცავს, მათ შორის:

რეზოლუციის მიღება, რომელიც დაარეგულირებს და უზრუნველყოფს სენატის პლენარულ სხდომებზე დაინტერესებული მხარეების შესვლას

ვალდებულების მიზანია პლენარულ სხდომაზე დამსწრე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების და სხვა დაინტერესებული პირების სიის გამოქვეყნება, რათა მოქალაქეებმა იცოდნენ, თუ ვინ ესწრება პლენარულ სხდომას და ვინ იღებს მონაწილეობას კანონშემოქმედებით პროცესში. ამ მიზნით, კოლუმბიის სენატი „საჯარო რეესტრის“ შემუშავებას გეგმავს. „საჯარო რეესტრი“ ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის იქნება ხელმისაწვდომი და მასში აისახება, თუ რა კომპანიები, საჯარო დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები ესწრებიან პლენარულ სხდომას. მოცემული ვალდებულების მიზნებისთვის კოლუმბიის სენატი შესაბამისი რეზოლუციის მიღებას და „საჯარო რეესტრის“ დიზაინის შემუშავებას გეგმავს.

სენატის წევრების მიერ სხდომებზე დასწრების კონტროლი

ვალდებულების მიზანია სტრატეგიის შემუშავება, რომლის საფუძველზეც შეიქმნება სპეციალური ჩანაწერი და აღნიშნული ჩანაწერის საშუალებით მოქალაქეები შეძლებენ გარკვევას, თუ რა მიზეზით არ დაესწრო სენატის წევრი სხდომას. მოქალაქეებისთვის ყოველთვიურად გამოქვეყნდება სპეციალური ანგარიში, რომელშიც მოცემული იქნება სენატის წევრების მიერ სხდომებზე არდასწრების / გაცდენის მიზეზები.

[12] კოლუმბიის საპარლამენტო ღიაობის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმა: https://drive.google.com/file/d/0ByP1nXAlz_meOE1SN0lLUGVRQkE/view

გაერთიანებული სამეფო

გაერთიანებული სამეფოს საპარლამენტო ღიაობაზე საუბრისას, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ციფრული დემოკრატიის კომისიის [13] (Digital Democracy Commission) მიერ შემუშავებული საპარლამენტო ღიაობის რეკომენდაციები. [14]

ციფრული დემოკრატიის კომისია დაფუძნდა გაერთიანებული სამეფოს თემთა პალატის თავმჯდომარის ჯონ ბერქაუს მიერ 2013 წლის ნოემბერში და მიზნად ისახავს პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის ხელშეწყობის მიზნით ციფრული ტექნოლოგიების მაქსიმალურ გამოყენებას.

ციფრული დემოკრატიის კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების თანახმად, პრიორიტეტად განისაზღვრა:

- ✓ პარლამენტის ვებგვერდზე მეტი აუდიო და ვიზუალური მასალის გამოქვეყნება. როგორც რეკომენდაციაში განიმარტა, სამოქალაქო ჩართულობისთვის დაბრკოლებაა დიდი მოცულობის დოკუმენტები, რადგანაც მათი შესწავლა შრომატევადია და დიდ დროს მოითხოვს. შესაბამისად, სასურველია, რომ პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის მარტივი აღქმისთვის გამოყენებულ იქნეს ლოგოები, სურათები;
- ✓ პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებული სხდომების ამსახველი აუდიო-ვიზუალური მასალის ჩამოტვირთვის და გამოყენების ხელშეწყობა. მასალა მაღალი ხარისხით და სრულიად უფასოდ უნდა განთავსდეს და მისი გამოყენება ნებისმიერ დაინტერესებულ პირს თავისუფლად უნდა შეეძლოს;

[13] Digital Democracy Commission: http://www.parliament.uk/business/commons/the-speaker/speakers-commission-on-digital-democracy/
[14] http://www.digitaldemocracy.parliament.uk/chapter/foreword

- ✓ საპარლამენტო ენის და კომუნიკაციის, აგრეთვე იურიდიული ტერმინების გამარტივება. როგორც რეკომენდაციაში განიმარტა, იურიდიული ტერმინების გამოყენება, ხშირ შემთხვევაში, აფერხებს მოქალაქეების მიერ საკანონმდებლო საქმიანობაში მონაწილეობას. რეკომენდაცია მოიცავს ე.წ. „იურიდიული ტერმინების“ ლექსიკონის/მთარგმნელის შემუშავებას, აგრეთვე საპარლამენტო ენის/კომუნიკაციის გამარტივებას და დაზუსტებას. გარდა ამისა, რეკომენდაცია ხაზს უსვამს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ვიდეო მასალებზე სუბტიტრების განთავსების და ალტერნატივად ჟესტების ენაზე თარგმნის აუცილებლობას;

- ✓ ციფრული საჯარო დისკუსიის ფორუმის (Cyber Chamber) დანერგვა. ფორუმზე განთავსდება პარლამენტის სხდომებზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია. მოქალაქეები ჩაერთვებიან ამ საკითხებთან დაკავშირებულ „ციფრულ განხილვებში“ და შემდეგ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას, „ციფრული განხილვის“ შედეგებიც იქნება გათვალისწინებული. ეს მოიცავს Twitter-ის პლატფორმაზე hashtag-ების გამოყენებას. მაგ: საცდელად, ეს ინიციატივა მიება „იშვიათი დაავადებების დროს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების დაშვების“ კანონპროექტთან დაკავშირებულ 90 წუთიან დებატებს. ინიციატივა Twitter-ის პლატფორმაზე დებატების გამართვამდე ერთი დღით ადრე, hashtag #RDdebate-ის გამოყენებით განხორციელდა. პლატფორმის მომხმარებლები საკუთარ გვერდზე აფიქსირებდნენ თავის პოზიციას და #RDdebate-ის hashtag-ს იყენებდნენ. Hashtag-ის გამოყენებამ მილიონს გადააცილა. ამ საცდელი პროექტის მიზანი იყო საჯარო დისკუსიის შემდგომ დღეს გამართულ დებატებზე მოქალაქეების მოსაზრებების წარმოდგენა და გათვალისწინება.

ფინეთი

საპარლამენტო ღიაობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია ფინეთის „ღია სამინისტროს“ (Avoin ministeriö) პლატფორმა.[15] „ღია სამინისტროს“ მიზანია სამოქალაქო ინიციატივების შეგროვება (crowdsourcing). მისი საშუალებით მოქალაქეები იურისტებთან ერთად შეიმუშავებენ იდეებს, რომლებსაც შემდგომ საკანონმდებლო წინადადების ფორმა ენიჭებათ და 50,000 მხარდამჭერის შეგროვების შემთხვევაში, წინადადება განსახილველად პარლამენტს წარედგინება.

„ღია სამინისტროს“ ონლაინ პლატფორმაზე წარდგენილი იდეების 10%-ს საკანონმდებლო წინადადების ფორმა მიენიჭა, ხოლო 1%-ის, მხარდამჭერების საკმარისი რაოდენობის შეგროვების შემთხვევაში, ფინეთის პარლამენტში წარდგენა იგეგმება.

[15] „ღია სამინისტროს“ ვებგვერდი: http://avoinministerio.fi

ესტონეთი

საპარლამენტო ღიაობის უზრუნველყოფის კუთხით კიდევ ერთი სამაგალითო ვალდებულებაა ესტონეთს ეკუთვნის. საკანონმდებლო მონაცემთა ღიაობის პლატფორმის (Legislative Data Openness Explorer) თანახმად,[16] ესტონეთი იმ ქვეყნების უმცირესობაში შედის, რომლებსაც პარლამენტის ვებგვერდზე სესიების ჩატარების განრიგი, დღის წესრიგი, პლენარული და საკომიტეტო სხდომების ტრანსკრიპცია, კენჭისყრის შედეგები, კანონმდებლობა, კანონპროექტები, საპარლამენტო არჩევნების შედეგები და ინფორმაცია კომიტეტების წევრებზე ინგლისურ ენაზე არის ნათარგმნი და გამოქვეყნებული,[17] რაც ცალსახად უდიდეს როლს თამაშობს საპარლამენტო ღიაობის ხელშეწყობაში. სასურველი იქნებოდა ამ პრაქტიკის საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზეც დანერგვა.[18]

ამასთან, ესტონეთის ვებგვერდზე ინფორმაცია ვიზუალურად მარტივად აღქმად ფორმატშია განთავსებული. საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე ამ ფორმატის გამოყენებაც მნიშვნელოვნად შეუწობდა ხელს საპარლამენტო საქმიანობაში მოსახლეობის უფრო აქტიურ ჩართულობას. ქვევით წარმოგიდგენთ საპარლამენტო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ვიზუალიზაციის მაგალითებს:

[16] საკანონმდებლო მონაცემთა ღიაობის პლატფორმა: https://beta.openparldata.org/explore/?c%5B%5D=accessibility&rot=1
[17] ესტონეთის პარლამენტის ვებგვერდი: https://www.riigikogu.ee/en/
[18] დღეის მდგომარეობით, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი არ არის მთლიანად ინგლისურ ენაზე ნათარგმნი (მაგ: კანონმდებლობის და საჯარო ინფორმაციის განყოფილებები).

პარლამენტის სამუშაო განრიგი ვიზუალურად მარტივად აღქმად ფორმატშია მოცემული



გენდერული მონაცემები

პარლამენტის წევრების სამუშაო გამოცდილება (თუ რამდენი წლის განმავლობაში მუშაობენ ისინი პარლამენტში):



ბრაზილია

საპარლამენტო ღიაობის კუთხით გატარებული რეფორმების მხრივ, ჩილესთან ერთად, ბრაზილია სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა. ამის დასტურია 2009 წლის ივლისში ბრაზილიის დეპუტატთა პალატის მიერ შემუშავებული „e-democracia"-ს პლატფორმა,[19] რომელიც ბრაზილიის მოქალაქეებს კანონმდებლებთან აკავშირებს.

2013 წლის აგვისტოს მდგომარეობით, პლატფორმა 27,400 დარეგისტრირებულ პირს და პლატფორმის ფორუმებში განხილული თემების სახით 3,000-მდე დებატს მოიცავდა. ბრაზილიის მოქალაქეს, „e-democracia"-ს პლატფორმაზე დარეგისტრირების შემდეგ, ეძლევა შესაძლებლობა, გაეცნოს კანონპროექტებს, მიიღოს მონაწილეობა კონკრეტული პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებულ დებატებში და ასევე პრობლემის გადაჭრის საკუთარი ვერსია წარმოადგინოს.

[19] https://edemocracia.camara.leg.br/home

„e-democracia“-ს პლატფორმა:

- დაკავშირებულია Facebook-თან, Twitter-თან და მომხმარებლის ელექტრონულ ფოსტასთან;
- მოიცავს კანონმდებლებსა და მოქალაქეებს შორის ე.წ. „ცოცხალი ჩათების“ (Live Chats) ფუნქციას;
- გამოკითხვების ინტერაქტიულ პლატფორმას;
- საჯარო მოსმენების პირდაპირ ეთერებს;
- „ვიდეო ფორუმებს“, რომლებზეც კანონმდებლებს, სმარტფონების გამოყენებით, ვიდეოების ჩაწერის და ატვირთვის შესაძლებლობა ეძლევათ.

„e-democracia“-ს პლატფორმაზე არსებული ფორუმის თემები კატეგორიების მიხედვით არის დაყოფილი, რაც მომხმარებელს პლატფორმაზე ნავიგაციას უადვილებს:



„e-democracia“-ს პლატფორმის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია ცალსახად არის მოქალაქეების მიერ კანონპროექტებზე კომენტარების დატოვების უზრუნველყოფისა და კანონპროექტებში ონლაინ რეჟიმში ცვლილებების შეტანის - Wikilegis სისტემა.[20]

Wikilegis არის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მოქალაქეები ონლაინ რეჟიმში, ერთობლივად შეიმუშავებენ კანონპროექტებს. ამასთან, ონლაინ პლატფორმაზე დარეგისტრირებულ ნებისმიერ პირს შეუძლია კანონპროექტში საკუთარი ცვლილების „Track Changes“-ების მეშვეობით შეტანა, რომელიც ვიზუალურად მარტივადაა აღსაქმელი, კერძოდ:

- მომხმარებელი Wikilegis-ის პლატფორმაზე გადადის მისთვის საინტერესო კანონპროექტზე. როგორც ქვემოთ მოცემული სურათიდან ჩანს, კანონპროექტის თოთოეული მუხლის გასწვრივ მოცემულია მომხმარებლების მიერ შეტანილი ცვლილებების და მათი რაოდენობის ამსახველი ლოგო:



- ლოგოზე კურსორის მიტანის შემდეგ, მომხმარებელი კანონპროექტის თავდაპირველ ტექსტზე და მასში Track Change-ებით შეტანილ ცვლილებებზე გადადის. ამასთან, Wikilegis-ის განსაკუთრებით საინტერესო ფუნქციაა ცვლილებების „მოწონების“ ან „არ მოწონების“ შესაძლებლობა:

[20] https://edemocracia.camara.leg.br/wikilegis/#projects



როგორც ზემოთ მოცემული სურათიდან ჩანს, პლატფორმის შემქმნელებმა კანონპროექტში მოქალაქეების მიერ შეტანილი ცვლილებების ვიზუალიზაციისთვის Microsoft Word-ის ყველასთვის ცნობილი Track Change-ების ფუნქცია გამოიყენეს, რაც მარტივი და, ამავე დროს, ეფექტიანი გადაწყვეტილება იყო, რადგან ამ ფუნქციის გამოყენებამ კანონშემოქმედებით პროცესში ჩართულობა გაუადვილა ისეთ ადამიანებს, რომლებიც სათანადოდ ვერ ერკვევიან თანამედროვე ტექნოლოგიებში და ამის გამო მაქსიმალურად ვერ იყენებენ მათ ხელთ არსებულ რესურსებს. ამასთან, კანონპროექტში ცვლილებების შეტანის ამ ფუნქციის დანერგვა ფინანსურად მომგებიანიც იყო, რადგანაც არ საჭიროებდა სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების დიდი ოდენობით ხარჯვას.

ჩილე

2014 წლის 21 აგვისტოს ჩილეს კონგრესმა შეიმუშავა საპარლამენტო ღიაობის 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმა.[21] გეგმიდან განსაკუთრებულ ყურადღებას შემდეგი ვალდებულება იმსახურებს:

პარლამენტის ვებგვერდზე საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის მექანიზმის დანერგვა

ამ მექანიზმის საშუალებით, დაინტერესებული მოქალაქეები ელექტრონულად მოითხოვენ პარლამენტის, პარლამენტის კომიტეტებისა და ბიბლიოთეკის ხელთ არსებულ საჯარო ინფორმაციას და მონაცემებს.

[21] ჩილეს ღია პარლამენტის 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმა: https://drive.google.com/file/d/0Bxe_XRmf65Q6NW9TdEVRSmtKWEU/view

კანადა

ყურადღებას იმსახურებს კანადის ღია პარლამენტის ვებგვერდი,[22] რომელზეც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია იხილოს კანონპროექტის განხილვის დროს პარლამენტის წევრების მიერ გაკეთებული განცხადებები, მათი მოსაზრებები და კომენტარები:

Bill C-301

An Act to amend the Income Tax Act and to make a related amendment to another Act (registered retirement income fund)

Sponsor	**Kelly McCauley** Conservative Introduced as a **private member's bill**. (These don't often become law.)
Status	Defeated, as of Dec. 13, 2016 Subscribe to a **feed** of speeches and votes in the House related to Bill C-301.
Summary This is from the published bill. The **Library of Parliament** often publishes better independent summaries.	This enactment amends the Income Tax Act to remove the requirement to withdraw minimum amounts from a registered retirement income fund. It also makes a related amendment to another Act.
Elsewhere	All sorts of information on this bill is available at **LEGISinfo**, provided by the Library of Parliament You can also read the **full text of the bill**.
Votes	**Dec. 13, 2016** Failed That the Bill be now read a second time and referred to the Standing Committee

[22] კანადის ღია პარლამენტის ვებგვერდი: https://openparliament.ca/bills/42-1/C-301/

Income Tax Act
Private Members' Business

December 12th, 2016 / 11:05 a.m.
See context

NDP

Scott Duvall Hamilton Mountain, ON

Mr. Speaker, I want to thank the member for **Edmonton West** for bringing this private member's bill forward. Many times the member and I do not see eye to eye, but I certainly have a lot of respect for him, and I enjoy listening to him.

It is my pleasure to rise today to speak to the private member's bill, Bill **C-301, an act to amend the Income Tax Act and to make a related amendment to another act,** which will affect registered retirement income funds, otherwise known as RRIFs.

The NDP is supporting the bill at second reading because we feel it deserves to be sent to committee for further study. The issue of mandatory minimum withdrawal requirements is an important issue for retirees trying to maintain an adequate income in their retirement.

It is our view that a detailed examination of the rules regarding RRIFs is necessary to help ensure that seniors are not outliving their savings. Retirement insecurity is reaching a crisis level in Canada, as many Canadians do not have adequate savings to maintain their lifestyle upon retirement. Any measures that will make it easier for seniors to maintain an adequate income must be looked at.

see more

Much more needs to be done to help our seniors live with the dignity they deserve. The high cost of

Income Tax Act
Private Members' Business

December 12th, 2016 / 11:10 a.m.
See context

Conservative

Larry Maguire Brandon—Souris, MB

Mr. Speaker, it is my great pleasure today to speak in favour of Bill **C-301**, which was introduced by my colleague and friend from **Edmonton West**. I would like to thank him for the work he has done on this bill and very important issue that affects millions of Canadian seniors.

At this time, I also want to thank my NDP colleagues who have indicated that they will support this legislation and send it to committee, so witnesses, financial experts, and, most of all, Canadian seniors, can weigh in on the merits of this legislation. As a good rule of thumb, any time that a bill introduced by a Conservative is adopted by an NDP and opposed by a Liberal, it must mean we are on the right track.

The issue of mandatory minimum withdrawals from registered retirement income funds has long been a thorn in the sides of Canadian seniors. Many seniors who have diligently saved for retirement and invested wisely are well within their right to ask that mandatory minimum withdrawals from their RRIFs be completely eliminated.

ამასთან, საკანონმდებლო მონაცემთა ღიაობის პლატფორმის (Legislative Data Openness Explorer) თანახმად, კანადის პარლამენტის ვებგვერდზე მოცემულია განყოფილება,[23] რომელშიც პროაქტიულად ქვეყნდება ინფორმაცია პარლამენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების თაობაზე:

Contracts over $10,000: 1 April 2016 to 30 September 2016
Contrats de plus de 10 000 $: 1er avril 2016 au 30 septembre 2016

Vendor Fournisseur	No.	Description	Original Contract Value Valeur du contrat initial	Total Amended Contract Value Valeur totale du contrat modifiée	Comments Commentaires
FASKEN MARTINEAU DUMOULIN LLP	L0300-16-3209	Legal services Services légaux	$5,000	$60,000	
QUANTUM MANAGEMENT	L0611-17-2213	Temporary help Aide temporaire	$6,563	$12,188	
ALTIS SPR	L0730-17-2217	Temporary help Aide temporaire	$9,610	$25,990	
RECORDED BOOKS LLC	L0351-17-3242	Library information resources Ressources d'information pour la Bibliothèque	$10,050		
EXCEL HUMAN RESOURCES	L0710-17-2216	Temporary help Aide temporaire	$10,800	$26,775	
1207284 ONTARIO INC	BOU0001449	Inventory for resale Stock pour la revente	$10,158		
CCH CANADIAN LIMITED	L0351-17-3241	Library information resources Ressources d'information pour la Bibliothèque	$10,702		
L'EMBALLAGE TOUT INC	L0665-17-9529	Boutique supplies Fournitures pour la Boutique	$11,137		
KERR, FRÉDÉRIQUE	L0730-17-7397	Writing, editing, concordance Rédaction, révision et concordance	$12,000		
DE MARQUE	L0351-17-3244	Library information resources Ressources d'information pour la Bibliothèque	$12,188		
LIGHTNING MEDIA INC	L0790-17-7902A	Writing services Services de rédaction	$12,650		
OCLC INC	L0351-17-3238	Library information resources Ressources d'information pour la Bibliothèque	$12,794		
PROLOGIC SYSTEMS LIMITED	L0730-17-2218	Temporary help Aide temporaire	$12,829		
CTM MEDIA GROUP LTD	L0661-17-9703	Publications distribution Distribution de publications	$12,959		
THÉORET, RICHARD RENÉ	L0612-17-6133	Writing, editing, concordance Rédaction, révision et concordance	$13,500		
LIPMAN STILL PICTURES	L0300-17-3245	Photography services Services de photographie	$15,500		

[23] კანადის პარლამენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების განყოფილება: http://lop.parl.gc.ca/About/Library/VirtualLibrary/CorporateDocuments-e.htm

როგორც სურათიდან ჩანს, გაფორმებული ხელშეკრულებების განყოფილებაში მოცემულია:

- ინფორმაცია გამყიდველზე;
- ხელშეკრულების ნომერი;
- ხელშეკრულების მოკლე აღწერა;
- ხელშეკრულების ღირებულება.

კანადის პარლამენტის ვებგვერდზე ასევე განთავსებულია პარლამენტის წევრების ქონებრივი დეკლარაციები:[24]



[24] კანადის პარლამენტის წევრების ქონებრივი დეკლარაციების განყოფილება: http://ciec-ccie.parl.gc.ca/EN/PublicRegistries/Pages/PublicRegistry.aspx#Default

ახალი ზელანდია

საპარლამენტო ღიაობის კუთხით საუკეთესო პრაქტიკის კიდევ ერთი მაგალითია ახალი ზელანდიის პარლამენტის ვებგვერდი, რომელიც მოქალაქეებს კანონშემოქმედებით პროცესში ჩართვის განსხვავებულ ფორმას სთავაზობს. ვებგვერდზე საპარლამენტო კომიტეტებისთვის კონკრეტულ კანონპროექტებთან დაკავშირებით წინადადების / კომენტარების წარდგენის ელექტრონული ფორმაა შექმნილი.[25]



წინადადებების ელექტრონულად წარდგენისთვის გამოყოფილია დროის გარკვეული პერიოდი. წინადადებები კომიტეტებს შორის რეგულირების სფეროების მიხედვით ნაწილდება. წინადადების ელექტრონულად წარდგენის ფორმაში მოქალაქე მიუთითებს თავის სახელს და მიზეზებს, თუ რატომ ემხრობა ან არ ემხრობა კონკრეტულ კანონპროექტს. ამასთან, წარდგენის ფორმაში მოქალაქეს შეუძლია წარმოადგინოს შენიშვნები და შეთავაზებები კანონპროექტის ტექსტთან დაკავშირებით. წინადადებების ელექტრონულად წარდგენის დროის ამოწურვის შემდეგ, კომიტეტი იწყებს მისთვის წარდგენილი წინადადებების შესწავლას.

ახალი ზელანდიის პარლამენტის ვებგვერდზე ასევე დანერგილია ელექტრონული პეტიციების წარდგენის მოდულიც. მოქალაქეთა პეტიციები განსახილველად მიემართება პარლამენტის შესაბამის კომიტეტებს. პეტიცია შესაძლებელია იყოს, როგორც ერთი კონკრეტული პირის, ისე პირთა ჯგუფის მიერ ხელმოწერილი:

[25] ახალი ზელანდიის პარლამენტის ვებგვერდზე წინადადების წარდგენის ელექტრონული ფორმა: https://www.parliament.nz/en/pb/sc/make-a-submission/



Parliamentary Business

Bills and Laws
Select committees
Hansard (Debates)
View all

Filtering

Use the filters to refine listing items

Keyword
Date range +
Status +
Select Committee +
Apply filter

Petitions

Home ▸ Parliamentary Business ▸ Petitions

A petition is a document addressed to the House of Representatives and signed by at least one person. It asks the House to act on a matter of public policy or law, or to put right a local or private concern. When a petition's status is shown as "presented" to the House, it is referred to a select committee for consideration and report. When a petition's status is shown as "reported", the committee has completed its consideration and reported back to the House.

Find out more about starting a petition.

Petitions

Displaying 1 - 20 of 756 RSS

Title	Status	Date
Petition of Valerie Morse, That the House of Representatives note that 3,545 people have signed a petition calling on the House to: 1. Stop providing sponsorship, funding and support to the annual NZ Defence Industry expo, and militarisation; 2. Redirect	Presented	15 February 2017
Petition of Judy Richards, That the House note that 8,535 people have signed a petition calling for the House to pass legislation requiring any visitor to New Zealand who is issued with a visa for a period longer than 3 months, and who wishes to drive a ve	Presented	14 February 2017
Petition of Gary Stephenson, That the House note that 4,651 people have signed a petition requesting that the House inquire into halting any release of RHDV1a-K5 until an effective vaccine is available, proven to international vaccine registration test sta	Presented	09 February 2017

პეტიციის განსახილველად მიღების შემთხვევაში, პარლამენტის შესაბამისი კომიტეტები აქვეყნებენ შესაბამის ანგარიშს ან რეაგირებისთვის პეტიციას უგზავნიან აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებას, რომელიც ვალდებულია წერილობით უპასუხოს პარლამენტს პეტიციაში დაყენებული ინიციატივის ან მოთხოვნის შესახებ:



HOUSE OF REPRESENTATIVES NZ

Petition 2014/75 of Erin Polaczuk on behalf of the New Zealand Public Service Association

Report of the Transport and Industrial Relations Committee

The Transport and Industrial Relations Committee has considered Petition 2014/75 of Erin Polaczuk on behalf of the New Zealand Public Service Association, requesting

> That the House of Representatives note that 10,469 people have signed a petition asking for the Government to implement all recommendations of the joint working group on pay equity.

The Ministry of Business, Innovation and Employment told us that the Government recently announced that it accepts the recommendations of the Joint Working Group on Pay Equity. It said that the Government expects to introduce a bill in 2017 to amend the Equal Pay Act 1972 and the Employment Relations Act 2000 to implement the Joint Working Group's recommendations.

The committee has no further matters to bring to the attention of the House.

აღნიშნული მექანიზმი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელების მნიშვნელოვან და ეფექტურ ინსტრუმენტად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

დასკვნა

კვლევაში განვიხილეთ საპარლამენტო ღიაობის კუთხით განხორციელებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები და OGP-ის წევრი ქვეყნების მიერ შემუშავებული საპარლამენტო ღიაობის გეგმების ჩვენთვის საინტერესო ვალდებულებები.

კვლევის შემუშავებისას გამოიკვეთა საპარლამენტო ღიაობის პრინციპების დანერგვისთვის ინტერნეტ ტექნოლოგიების მუდმივი განვითარების აუცილებლობა, რის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი ბრაზილიის მიერ შემუშავებული Wikilegis-ის პლატფორმაა. მიგვაჩნია, რომ საქართველოს საპარლამენტო ღიაობის ახალ 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმაში ანალოგიური პლატფორმის შემუშავების ან მასზე არსებული ფუნქციების საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე დანერგვის ვალდებულების გაწერა ჩვენი საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა.

ამასთან, საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების მოძიებისას, გამოიკვეთა საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე უკვე დანერგილი ფუნქციების სრულყოფისა და გამარტივების აუცილებლობა. ამის მიღწევის საუკეთესო მაგალითია ესტონეთის პარლამენტის ვებგვერდი, რომელზეც ინფორმაცია ვიზუალურად მარტივად აღქმად ფორმატშია განთავსებული.

საყურადღებოა, რომ რიგი ქვეყნების საპარლამენტო ღიაობის სამოქმედო გეგმები (მაგ: უკრაინა და ჩილე) იმეორებდნენ საქართველოს საპარლამენტო ღიაობის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებებს (მაგ: ელექტრონული პეტიციის დანერგვა, კანონპროექტზე კომენტარის დატოვების ფუნქციის შემუშავება და სხვა). თუმცა, საქართველოსთან პარალელის გავლებისას, აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებმა საქართველოსთან შედარებით გაცილებით მეტ პროგრესს მიაღწიეს აღებული ვალდებულებების შესრულებაში. ეს ჩვენი ქვეყნისთვის სამწუხარო ტენდენციაა, რადგან საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც საპარლამენტო ღიაობის სამოქმედო გეგმა შეიმუშავა და ამ გეგმის სრული და დროული შესრულება საგრძნობლად გაზრდიდა საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართ ჩვენი მოქალაქეების ნდობას და ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტს. ამასთან, კვლევაში მოყვანილმა მაგალითებმა ცხადყო, რომ სხვა სახელმწიფოების მიერ საქართველოს საპარლამენტო ღიაობის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების საკუთარ სამოქმედო გეგმებში გადატანამ ამ ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოებს და მოქალაქეებს მხოლოდ დადებითი შედეგი მოუტანა.